# ჩილის ამბები

## ფიფა-ს კონგრესზე

ჩილის დედაქალაქში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც განიხილა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

კონგრესის ერთ-ერთი საპრობლემო პუნქტს წარმოადგენდა ინგლისელთა წინადადება, რომელიც გულისხმობდა მოთამაშეთათვის მსოფლიო პირველობაზე სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში მონაწილეობის აკრძალვას. (ფიფა-ს ძველი დებულებით ფეხბურთელს შეეძლო ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასულიყო, ეცხოვრა იქ 3 წლის განმავლობაში, გამოეცვალა ქვეშევრდომობა და მისი სახელით გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონატში).

ინგლისელთა წინადადებას მხარი დაუჭირა 25 დელეგატმა. 21 წავიდა წინაალმდეგი, 11-მა თავი შეიკავა. ე. ი. ამიერიდან მსოფლიო ჩემპიონატებში ერთი ფეხბურთელი ველარ ითამაშებს ორი ქვეყნის ნაკრებ გუნდში.

კონგრესმა დაადგინა აგრეთვე, რომ მიმდინარე მსოფლიო პირველობის მონაწილენი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ვერ ითამაშებენ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად კვლავ არჩეულ იქნა ვ. გრანატკინი (სსრ კავშირი).

## 16 ფინალისტი — ადგილზეა

26 მაისს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ჩავიდა ჩილის ქალაქ არიკაში, სადაც უნდა ჩაატაროს მსოფლიო პირველობის მატჩები I ჯგუფში ურუგვაის, კოლუმბიისა და იუგოსლავიის გუნდებთან. ჩვენი ფეხბურთელები იცხოვრებენ ქალაქგარეთ, სასტუმრო „არიკაში", რომელიც წყნარი ოკეანის მახლობლად მდებარეობს.

სსრ კავშირის გუნდმა უკვე ჩაატარა საწვრთნელი მატჩები სტადიონზე. უნდა აღინიშნოს, რომ სათამაშო მინდვრის ხარისხი ვერაა დამაკმაყოფილებელი, მისი ხელოვნური საფარი საგრძნობლად დაზიანდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამას ელოდნენ სპეციალისტები. ახლა აქ საგანგებო სამუშაოები მიმდინარეობს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. ვალუევმა ჩაატარა პრეს-კონფერენცია, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. სტაროსტინი და გ. კაჩალინი. გ. კაჩალინმა კერძოდ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ნაკრები გათამაშებისათვის სხვა მონაწილეებზე ნაკლებად არაა მომზადებული და ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე დაასახელა რამდენიმე ფეხბურთელის გვარი, რომელთა მონაწილეობა პირველ მატჩში ეჭვს არ იწვევს. ესენია: იაშინი, მასლიონკინი, ვორონინი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, გუსაროვი, მესხი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

29 მაისი

შაბათი, 1962 წ.
№ 104 (1955)
გამოცემის მე-18 წელი
ფასი 3 კაპ.


სურათებზე: ზევით — თამასამ 215 სმ-ს მიაღწია, ამ სიმაღლეს მხოლოდ რ. შავლაყაძე შერჩა, რადგან ყველა მისი კონკურენტი გაცილებით დაბალი შედეგით დაკმაყოფილდა. შავლაყაძემ ადვილად დაძლია სიმაღლე. ქვემოთ — ბირთვს ჰკრავს სამატჩო შეხვედრაში გამარჯვებული მ. ოყროშიძე.



# დროშით, ალმით, სიგელით!

მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად, ფიზკულტურულ ორგანიზაციებში თავი იჩინა პატრიოტულმა წამოწყებამ. ფიზკულტურული კოლექტივები, რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოები ვალდებულებას კისრულობდნენ ყრილობის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეესრულებინათ თანრიგოსნების, ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები, უფრო ფართო მასშტაბით მიეზიდათ ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობა. სოცშეჯიბრება გაიშალა საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებშიც. ამას წინათ რესპუბლიკურმა სპორტკავშირის მუდმივ მოქმედმა კომისიამ შეაჯამა ადგილებიდან წარმოდგენილი მასალები 1961 წელს ჩატარებულ მუშაობაზე და სპორტკავშირის პრეზიდიუმს წარუდგინა განსახილველად.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გასულ წელს განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ქუთაისის, ბათუმის, გორის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები ჰქონდათ აგრეთვე სოხუმის, ფოთის და რუსთავის საქალაქო საბჭოებს.

საქართველოს სპორტკავშირმა საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვა ქუთაისის სპორტკავშირი (თავმჯდომარე ა. ჩოგოვაძე). ბათუმის სპორტკავშირს (თავმჯდომარე გ. თხილაიშვილი) მიეკუთვნა საქართველოს სპორტკავშირის ალამი, გორის სპორტკავშირი (თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი) დაჯილდოვდა საქართველოს სპორტკავშირის საპატიო სიგელით.

აღნიშნული ქალაქების სპორტკავშირების თავმჯდომარეები ა. ჩოგოვაძე, გ. თხილაიშვილი და გ. მეყანწიშვილი დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკავშირის სიგელებითა და პრემიებით.

## თამაშებში გამოვლენ უძლიერესნი

ახლოვდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჰელსინკის VIII საერთაშორისო ფესტივალი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფესტივალის სპორტული თამაშები, რომელშიც მონაწილეობაზე ჯერჯერობით სურვილი განაცხადა 22 ქვეყანამ.

განსაკუთრებით ხალხმრავალი იქნება მძლეოსნობა. 15 ქვეყნის 140 მძლეოსანი ერთმანეთს შეეცილებიან პირველ ადგილს. მონაწილეთა შორის იქნებიან ცნობილი სპორტსმენები უნგრელები ი. როჟეველდი, ი. სეჩენი, ვ. ვარიუ, პოლონელები — ი. სიდლო, ე. პიონტკოვსკი, მ. ფოიკი, ი. ბარანი, რუმინელები — ი. ბალაში, ფ. და კ. გრეჩესკუ და სხვ.

კალათბურთელთა ტურნირში გამოვა 14 კოლექტივი — სსრ კავშირი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, კუბა, ეკვადორი და სხვ. ფეხბურთში გამარჯვებისათვის იბრძოლებს 12 ქვეყნის გუნდი. მატჩები მოეწყობა ფინეთის 20 ქალაქის სტადიონებზე. 90-ზე მეტი კაცი გამოვა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, 12 გუნდი — ფრენბურთში.

## სეზონის საუკეთესო შედეგით

ერევანი. (ტელეფონით). ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა სამატჩო შეხვედრა მძლეოსნობაში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებაზე კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები, რომლებმაც პირველი ადგილი მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა რომის ოლიმპიადის ჩემპიონს რ. შავლაყაძეს. თბილისელმა ოსტატმა აჩვენა მიმდინარე სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი 215 სმ და პირველი ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი მოიპოვა, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა მ. ოყროშიძემ, რომელმაც ბირთვი ჰკრა 16 მ 41 სმ-ზე.

საქართველოს სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე პროგრამის მთელ რიგ სხვა სახეობებში, როგორიცაა ქალთა შორის ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა, 80 მ თარჯრბენი,ვაჟთა შეჯიბრებანი 100, 800 და 1.500 მ რბენებში და სხვ.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

## ოქროს მედლების მფლობელნი

კიევში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის გათამაშება კრივში. საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა ჩემპიონატის ფინალი, რომელსაც უნდა გამოევლინა მიმდინარე წლის ჩემპიონები.

უმჩატეს წონაში ოქროს მედალი მოიპოვა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვ. ბისტროვმა. მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი მოკრივეები არმიელი ო. გრიგორიევი და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ს. სივკო. ქულებით გაიმარჯვა პირველმა. ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვ. საფრონოვი. მან ფინალში დაამარცხა ბელორუსელი ა. ზასუხინი.

მსუბუქ წონაში ოქროს მედალი მესამედ მოიპოვა ბ. ნიკანოროვმა („შრომითი რეზერვები", მოსკოვი). პირველ ქვესაშუალო წონაში ჩემპიონობისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ა. ტუმინშმა (ლატვია) და ვ. ქარიმოვმა („შრომითი რეზერვები", ყაზახეთი). მაგრამ ეს უკანასკნელი ფინალში არ გამოცხადდა ადრე მიღებული ტრავმის გამო. ამიტომ ჩეპიონობა მიენიჭა ა. ტუმინშს. ასევე უბრძოლველად მოიპოვა ოქროს მედალი რ. ტამულისმა (ლიტვა) მეორე ქვესაშუალო წონის ფინალში მას არ გამოუცხადდა მოსკოველი ვ. აგეევი.

ძლიერად ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრა პირველ საშუალო წონაში მოსკოველმა ბ. ლაგუტინმა. მან აშკარა უპირატესობით მოუგო ბრძოლა ი. სობოლევს („შრომითი რეზერვები", ლენინგრადი). ლაგუტინი მესამედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ასევე აშკარა უპირატესობით მოიგო ფინალური ბრძოლა ლენინგრადელმა ვ. პოპენჩენკომ, მოსკოველ ა. კისელიოვთან შეხვედრაში. ქვემძიმე წონის მოკრივეთა ფინალში ლატვიის წარმომადგენელმა დ. პოზნიაკმა ქულებით დაამარცხა უკრაინელი გ. ივანოვი. მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. აბრამოვი.



# რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

## ცხინვალი

დამთავრდა საქალაქო შეჯიბრება მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. 60 და 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ლ. ფუხაევამ, სიგრძეზე ხტომაში — ქ. ბესტაევამ, 200 და 400 მეტრზე რბენაში — რ. სანახჩიანმა და კ. ქოქოევამ. სიმაღლეზე ხტომაში — ბ. მელენჩუკმა, ბირთვის კვრაში — რ. ჩინჩრიკმა. მესამე სკოლის მოსწავლემ ვ. ნანიევამ დაამყარა ახალი საოლქო რეკორდი შუბის ტყორცნაში — 33.20 მ.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ: ა. ჯიკაევი (60, 400 და 800 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში), თ. აბაშიძე (100 და 200 მეტრზე რბენაში); ლ. ფუხაევი — (სიმაღლეზე ხტომაში). ბირთვის კვრაში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა გ. თაბუევმა. სამხტომში — ი. მამიევმა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მე-3 სკოლამ.

• • •

ცხინვალის რაიონის პირველობაზე ფრენბურთში მონაწილეობდა ვაჟთა 11 და ქალთა 8 გუნდი. ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონი გახდა სოფელ ქურთას გუნდი, ვაჟთა შორის — გრომის კოლექტივი.

• • •

ჩატარდა პირველობა ტანვარჯიშში. მონაწილეობა მიიღო 80 სპორტსმენმა. მოზარდთა I თანრიგის გოგონებში გაიმარჯვა გ. მადჯარმა, ვაჟებში — ი. კოტევმა (ორივე მე-3 სკოლა).

მეორეთანრიგოსან ჭაბუკთა შორის — გ. კულუმბეგოვმა, გოგონებში — ფ. მულდაროვამ.

მოზრდილთა მეორე თანრიგოსნების ასპარეზობაში ძლიერი აღმოჩნდნენ ვ. წახილოვი და ზ. ცხოვრებოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა მე-3 სკოლამ, მეორე — პირველმა სკოლამ.

ვ. მელქოევი

## კასპი

ამ დღეებში დამთავრდა კასპის რაიონის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც კასპის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა. შეჯიბრებამ ბევრი მაყურებელი მიიზიდა, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი სპორტის ამ სახეობაში რაიონში პირველად ჩატარდა.

გოგონებს შორის პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად მოსწავლეთა შორის მიმდინარეობდა. რაიონის ჩემპიონობა კასპის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. ხუციშვილმა დაისაკუთრა.

უფრო დაძაბული გამოდგა შეხვედრები ვაჟთა შორის, სადაც პირველ-მეორე ადგილებზე გამოვიდნენ „განთიადის" სპორტსმენები გ. კიკაჩეიშვილი და ვ. ყარალაშვილი.

გამარჯვებულებს გადაეცათ რაიონის სპორტკავშირის დიპლომები.

## ლაშქრობა ციხისჯვარში

თბილისის ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტურიზმის სექციამ მოაწყო გაზეთ „პრავდის" 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი - ტაბაწყური (მანქანით)-მიტრაბი-კიმოთეს უბანი-მზეთამზე-ბაკურიანი - ციხისჯვარი-ბორჯომი (ფეხით)-თბილისი (მანქანით). ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის 30-მდე მეცნიერმუშაკმა.

ლაშქრობისათვის მზადება სექციამ დაიწყო აპრილის პირველ რიცხვებში. ლაშქრობის დაწყებამდე სექციის წევრებმა მოისმინეს საუბრები: „ტურისტის ქცევა ლაშქრობაში", „ლაშქრობაში მოძრაობის წესები", „პირველადი სამედიცინო დახმარება" და სხვ. ამ შეკრებებზე მიღებული ცოდნა მოგზაურებმა პრაქტიკაში განიმტკიცეს.

ეს ლაშქრობა ჩვენი ინსტიტუტის ტურიზმის სექციისათვის საიუბილეოც იყო, რადგან წელს შესრულდა ერთი წელი ჩვენს ინსტიტუტში პირველი ტურისტული ლაშქრობიდან. მაშინ ეს სექცია შედგებოდა 22 წევრისაგან, დღეს კი იგი აერთიანებს 70-ზე მეტ წევრს, ინსტრუქტორთა რიცხვი კი 6-მდე გაიზარდა. თუ აქამდე გვიხდებოდა ყოველი ლაშქრობისათვის საჭურვლის გამოტანა ტურისტული ბაზიდან, დღეს ჩვენს სექციას აქვს საკუთარი კარვები, რაც საშუალებას გვაძლევს ყოველი შაბათი და კვირა ქალაქგარეთ გავატაროთ.

გ. ქათამაძე,
ტურიზმის ინსტრუქტორი.

## ერთი ნორჩთაგანი

ხალისიანი ქალიშვილებით ავსებულა ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის დიდი დარბაზი, ზოგი რგოლებზე ვარჯიშობს, ზოგი ტანვარჯიშულ კედელზე, ზოგიც ორძელსა თუ დვირზე...

ჩქარობს მწვრთნელი ანგელინა გაბრიაძე — არც თუ ისე ბევრი დრო დარჩა მოსწავლეთა მორიგ ასპარეზობამდე.

— ფეხები რაც შეიძლება გამართეთ, ტერფები გაჭიმეთ, ხელები გაშალეთ, წელში გასწორდით...

ნანული ხაბურზანია, ალა დიმოვა, ქეთევან ფანცხავა და იზოლდა სვანიძე ყურადღებით უსმენენ სპორტის ოსტატს ა. გაბრიაძეს, რის შემდეგ დვირზე ასვლას პირველი „ბედავს" ნ. ხაბურზანია...



ნანული ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეა. მას გუშინდელი დღესავით ახსოვს დილიდან საღამომდე თოკი რომ ეჭირა ხელში და ხტუნავდა. რამდენჯერ მოსვლია გული დედას, ამდენს რა გახტუნებს, დაჯექი, დაისვენეო.

პირველ ხანებში სპორტის მრავალი სახეობა იტაცებდა — კალათბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში. ბოლოს ეს უკანასკნელი არჩია.

მონდომებით ვარჯიშობდა, აკვირდებოდა მეგობრების მოძრაობას, იღებდა მწვრთნელის რჩევა-დარიგებებს, ისიც ახსოვს, პირველად ტანვარჯიშულ რგოლებს რომ დაეჭიდა, [illegible] ეჩვენა თავისი სხეული და წუთს კიდევ რომ გაჩერებულიყო, ალბათ ხელიც გაუსხლტებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. მერე თანდათან უმსუბუქდებოდა სხეული, ემატებოდა ძალღონე...

გადიოდა დღეები და ქალიშვილი სულ უფრო ოსტატდებოდა. მალე პირველი თანრიგის ნორმატივიც შეასრულა და იგი ჩარიცხეს საქართველოს ნაკრებ გუნდში.

ახლა სპორტის ოსტატობაზე ოცნებობს ნ. ხაბურზანია. იგი ეჯიბრება თავის თანაკლასელ ციალა ხაჭაპურიძეს, რომელიც აგრეთვე სპორტის ოსტატის პროგრამით ვარჯიშობს.

• • •

სურათზე: ვარჯიშობს ნ. ხაბურზანია.

ტექსტი და ფოტო რ. ჩიჩუახი.

## პლენუმმა ივალდებულა

გაიმართა „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს მეოთხე პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა ბათუმის, შუახევის, ქედის, ხულოს და ქობულეთის „კოლმეურნის" რაისაბჭოების ანგარიშები მიმდინარე წლის გეგმების შესრულების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე სიტყვით გამოსულებმა ო. ლეჟავამ (ქობულეთი), ვ. ჭყონიამ (ბათუმი), ვ. კვანჭიანმა (შუახევი), ზ. ბოლქვაძემ (ხულო) ილაპარაკეს თავიანთ რაიონებში ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გეგმებისა და თვითვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჩხარტიშვილის ინფორმაცია „კოლმეურნის" VII რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ. ამ საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა: სპორტის ოსტატმა ჯ. მანელიშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა), ვ. გაროზაშვილმა (ქართული ჭიდაობა), რ. მიქაძემ (ველოსპორტი) და სხვებმა.

პლენუმმა მიმდინარე წლის გეგმებისა და თვითვალდებულებათა შესრულების დარგში აიღო ვალდებულებანი: მშთ I საფეხურზე მოამზადონ 830 კაცი, II საფეხურზე — 1692, აგრეთვე 2 ოსტატი, 25 — პირველი, 85 — მეორე, 378 — მესამე და 109 — მოზარდთა თანრიგოსანი, ოლქის სოფლებში მოაწყონ 120 სპორტული მოედანი და სექტორი, შეიძინონ 15.000 მანეთის სპორტული ფორმა და ინვენტარი, 2.000 კაცით გაზარდონ ფიზკულტურელთა რაოდენობა, რომელთა შორის 50 პროცენტი ქალები იქნებიან.

„კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭომ სოცშეჯიბრში გამოიწვია აფხაზეთის „კოლმეურნეს" საოლქო საბჭო.

გ. მანტურია

## მწვრთნელთა დასახმარებლად

ვარჯიში იწყება გამორბენით და ტემპიანი ნახტომით, რასაც მოსდევს წინყირამალა ორივე ფეხზე დახტომით (ნახ. 1).

წინყირამალის შემდეგ დახტომი უნდა იყოს მტკიცე, ოდნავ მოხრილ ფეხებზე. თავი უნდა გვეჭიროს პირდაპირ, ხოლო ოდნავ მოხრილი მკლავები — ზევით. იმ მომენტში, როცა ტანი მიუახლოვდება შვეულ მდგომარეობას, ფეხებით არეკნი უნდა დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიმართული არ იქნება ზუსტად ზევით და აკრობატი ვერ შეძლებს მაღლა ავარდნას.

სალტოსათვის ახტომის მომენტში იწყება ტანის მოხრა წინ და მკლავების მკვეთრი მოძრაობა ქვეწინარკალებით წვივებში ჩავლებით: თავი იხრება სწრაფად მკერდზე. ამ მოძრაობებისა და გავის მაღლა დამატებითი მოძრაობის შედეგად იქმნება ტანის სწრაფი ბრუნვითი მოძრაობა (ნახ. 2).

დაჯგუფება (ხელების, ფეხების, თავის დახრა, ფეხების მოზიდვა ხელებით წვივებში ჩავლებით) მთავრდება იმ მომენტში, როდესაც სიმძიმის საერთო ცენტრი უმაღლეს წერტილში იმყოფება, რაც დიდად მნიშვნელოვანია.

ტანის ახეთი მდგომარეობის წყალობით ჩქარდება ტრიალი, რაც უზრუნველყოფს აკრობატის გადატრიალებას უსაყრდენო მდგომარეობაში (ნახ. 3). ტანის თარაზულ მდგომარეობის გავლის მომენტში (პირხაზით ზევით) ფეხი იშლება მკვეთრად (ნახ. 4) და ტანი იმართება ქვევით (ნახ. 5). ამის წყალობით ტრიალი შეჩერდება და სრულდება დახტომი შედარებით გამართულ ფეხებზე, რაც უზრუნველყოფს უკეთეს მსგავსობას დახტომისთვის.

### მეთოდური მითითებანი

აუცილებელია წინასწარ ცალცალკე იქნას ათვისებული წინყირამალა და სალტო.

წინყირამალის დაუფლების შემდეგ საჭიროა მისი შესწავლა ისეთ ტემპში, რომ მისი შესრულების შემდეგ დახტომისას გაკეთდეს ძლიერი არეკნი, რომელიც უზრუნველყოფს სალტოს შესრულებისათვის აუცილებელ ზეახტომს.

როცა მივაღწევთ კარგ ხტომს საჭირო მიმართულებით, შეიძლება წინყირამალის შემდეგ სალტოს შესწავლაზე გადასვლა. წინყირამალის შემდეგ დახტომი უნდა იყოს მტკიცე, მხოლოდ ოდნავ მოხრილ ფეხებზე.

თავი უნდა გვეჭიროს პირდაპირ, ხოლო ოდნავ მოხრილი მკლავები — ზევით აწეული. დახტომის მომენტში ფეხის მოხრა ამორტიზაციით აძლევს არეკნს და ამასთან ერთად ამზადებს სალტოს არეკნისათვის ხაწყის მდგომარეობას. წინყირამალის შემდეგ საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს ინერცია სალტოს შესრულებისათვის, დახტომის მომენტში ოდნავი შესრულება საჭირო მიმართულებით დროული არეკნის საშუალებას არ მოგვცემს.

ფეხებით არეკნის მომენტში მკლავები ოდნავ მოხრილი მდგომარეობიდან მკვეთრად იმართებიან ზევით და თითქოს მთელ ტანს იზიდავენ თავისკენ, რის შედეგადაც მკლავების მკვეთრი მოძრაობით (ქვეწინარკალები) საჭიროა დაჯგუფება (დაგვიანებული დაჯგუფება გამოიწვევს დავარდნას).

მკლავების რკალისებური მოძრაობის დროს ქვევით და ტანის დახრისას გავა გადავა ზევით და წინ, რაც ქმნის ტანის ტრიალს ღერძის გარშემო. ხუბიექტურად უნდა ხდებოდეს იმის შეგრძნობა, რომ მოძრაობა წარმოებს არა თავით წინ-ქვევით, არამედ გავის მაღლა აწევით, მისი ღერძის გარშემო ტრიალით. ტანის ტრიალები ემთხვევა სიმძიმის საერთო ცენტრის უველაზე მაღალ მდგომარეობას. დაჯგუფება საჭიროა მოხდეს მჭიდროდ და სწრაფად, რომ ფრენის უმაღლეს წერტილში მოძრაობა დამთავრებული იყოს. დაჯგუფება უნდა ხდებოდეს თავისა და მკერდის მუხლებისაკენ მოძრაობით და არა პირიქით. ხელებით წვივების შუა მესამედზე ჩავლებისას იდაყვები მუხლებს ეჭირება და მკლავების მოხრით ფეხები ძლიერად მოიზიდება ტანთან. ტანის ასეთი მდგომარეობის წყალობით ტრიალი ჩქარდება და ტანი გადატრიალდება უსაყრდენო მდგომარეობაში.

ხერიოზულ შეცდომათა რიცხვში უნდა აღინიშნოს თავისა და მკლავების არასაკმარისად ენერგიული მოძრაობა წინ.

დაჯგუფებიდან გამორთვა აჩქარებს ტრიალს თარაზული ღერძის გარშემო, ხოლო ფეხების სწრაფი გამართვა კი ანარჩუნებს სიმძიმის საერთო ცენტრს მაღალ დონეზე და უზრუნველყოფს მაღალდგომს დახტომის მომენტში.

ტანის შედარებით ნელი გამართვა და თავის აწევა ქმნის ხელსაყრელ პირობებს წონასწორობის შენარჩუნებისათვის დახტომის მომენტში

მ. ქელეხსაშვილი,
საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# წინყირამალა — წინსალტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩილის ტურნირამდე 2 დღე დარჩა!




## ვ. ფეოლა და მისი ჯადოქრები

მსოფლიოს VI ჩემპიონატი ფეხბურთის ისტორიაში შევა, როგორც ბრაზილიელთა ჩემპიონატი. ამ ქვეყნის ფეხბურთელთა თამაში ნათელი დადასტურება იყო თანამედროვე ფეხბურთის დიდი პროგრესისა, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა როგორც მაყურებლები, ისე გამოჩენილი სპეციალისტებიც. 1958 წლამდე საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ ბრაზილიელებს აქვთ უმაღლესი ტექნიკა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ჟონგლიორობას, მაგრამ ხშირად სწორედ ეს ჟონგლიორობა იყო ხოლმე ბრაზილიელთა დამარცხების მიზეზი. შვეციაში კი ამ ქვეყნის სპორტსმენები ჩამოვიდნენ არა როგორც ფეხბურთის ჰირვეული პრიმადონები, არამედ როგორც ახალი ტაქტიკური სისტემით შეიარაღებული მონოლითური კოლექტივი. ბრაზილიელებმა უმაღლეს ინდივიდუალურ კლასთან ერთად აჩვენეს კოლექტიური, გამიზნული ფეხბურთი და მათ მიერ შემუშავებული სქემა 4+2+4 სადღეისოდ მიღებულია მრავალ ქვეყანაში.

შვეციის საფინალო ტურნირი კარგად ახსოვთ ფეხბურთის მოყვარულებს. მის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქ პირველად მონაწილეობდნენ საბჭოთა ფეხბურთელები და გარდა ამისა სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ბრიტანული ფეხბურთი (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ჩრ. ირლანდია).

ბრძოლას ყველა ჯგუფში უაღრესად დაძაბული ხასიათი ჰქონდა. სენსაციური შედეგით დამთავრდა გათამაშება I ჯგუფში, სადაც სპეციალისტებს ფავორიტად მიაჩნდათ არგენტინის ნაკრები. მაგრამ არგენტინელებმა სამარცხვინო მარცხი განიცადეს გერმანელებთან (1:3) და ჩეხებთან (1:6) შეხვედრებში და სირცხვილნაჭამი დაბრუნდნენ შინ. პირველი ადგილი მოიპოვა გფრ-ს გუნდმა, ხოლო მეორე — ჩეხებმა, რომლებმაც დამატებითი შეხვედრა მოუგეს ირლანდიელებს.

დამატებითი შეხვედრის გარეშე დამთავრდა ბრძოლა მხოლოდ II ჯგუფში, საიდანაც ფინალში გავიდნენ საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდები.

III ჯგუფიდან წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა. შვედებს ამ დროისათვის სერიოზული მაშველი ძალა ჩამოუვიდათ სხვა ქვეყნების პროფესიულ კლუბებში მოთამაშე თავიანთი ფეხბურთელების სახით, რის შედეგადაც ეს გუნდი ძლიერ ძალად იქცა. დამატებითი მატჩი მეოთხედფინალში გასვლისათვის შედგა უნგრეთისა და უელსის გუნდებს შორის, რომელიც უნგრელებმა წააგეს — 1:2.

როგორც ზევით ვთქვით, ყველაზე ძლიერი იყო IV ჯგუფი. პირველ ტურში ბრაზილიელებმა იოლად დაამარცხეს ავსტრიის ნაკრები — 3:0, ხოლო სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2, თუმცა საბჭოთა ფეხბურთელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0.

მეორე ტურში ბრაზილიელები უშედეგო ფრეს — 0:0 დასჯერდნენ ინგლისელებთან შეხვედრაში, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოუგო ავსტრიის გუნდს — 2:0.

დაიწყო დასკვნითი ტურის მატჩები. ინგლისელებმა, რომლებსაც თითქოს განაღდებული ჰქონდათ მეოთხედფინალში გასვლა, მოულოდნელად ფრედ ითამაშეს ავსტრიასთან — 2:2, ხოლო ბრაზილიელებმა სიურპრიზი მოამზადეს სსრ კავშირის გუნდთან შეხვედრაში: მათ მინდორზე გამოიყვანეს ჩემპიონატის მომავალი გმირები გარინჩა (№ 7) და პელე (№ 10). ბრაზილიელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გატანილ იქნა მათი ცენტრალური თავდამსხმელის ვავას მიერ.

ამრიგად, ინგლისისა და სსრ კავშირის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ — 3 და მათ შორის საჭირო შეიქნა დამატებითი თამაშის ჩატარება. საბჭოთა ფეხბურთელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 1:0 და გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპში.

მეოთხედფინალურ მატჩებში დამარცხება განიცადა ყველა იმ გუნდმა, რომელსაც დამატებითი შეხვედრების ჩატარება მოუხდა ჯგუფებში. უელსი დამარცხდა ბრაზილიასთან — 0:1, იუგოსლავია — გფრ-სთან, — 0:1, ხოლო საბჭოთა ფეხბურთელები — შვეციასთან — 0:2. ამას გარდა ფრანგებმა დიდი ანგარიშით მოუგეს ჩრ. ირლანდიის ნაკრებს — 4:0.

ნახევარფინალში გავიდნენ შვეცია-გფრ, საფრანგეთი-ბრაზილია.

პირველ ნახევარფინალში ანგარიში გახსნეს გერმანელებმა, მაგრამ მასპინძლებმა მალე აღადგინეს წონასწორობა — 1:1. შესვენების შემდეგ გრენმა და ჰამრინმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და გამარჯვება დარჩათ შვედებს — 3:1.

ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა ნამდვილი დიდი ფეხბურთის დემონსტრაცია იყო. ბრაზილიელებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს და გაიმარჯვეს — 5:2.

ფინალური მატჩის შედეგი ეჭვს არ იწვევდა. მაშინაც კი, როცა შვედების ფორვარდმა სკოგლუნდმა მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ბრაზილიელები ხელიდან არ გაუშვებდნენ გამარჯვებას. მართლაც, ბრაზილიელებმა მეტად ძლიერად ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2. ახალი ჩემპიონების მხრივ ბურთები გაიტანეს ვავამ (2), პელემ (2) და ზაგალომ (1), ხოლო შვედების მეორე ბურთის ავტორი კვლავ იგივე სკოგლუნდი იყო.

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ღირსეულად მოიპოვეს უმაღლესი ჯილდო — ოქროს ქალღმერთის ქანდაკება. მათი გამარჯვების შემდეგ გათანაბრდა ანგარიში სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდებს შორის ამ თავისებურ შეჯიბრებაში. მსოფლიო ჩემპიონობა ხამჯერ მოიპოვეს ევროპელებმა და ხამჯერ — სამხრეთამერიკელებმა.




ფეხბურთში 1958 წლის პირველობის ფინალური მატჩის მომენტი. ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბმა გარინჩამ (იგი ნახევრად მოჩანს კადრზე შვედი მცველის გუსტავსონის უკან) სწრაფად აუარა გვერდი შვედების მცველს ბერგმარკს (კადრზე მარცხნივ) და ბურთი ძლიერი დარტყმით გაგზავნა შვედების კარის გასწვრივ, შვედების მეკარის სვენსონისა და ბრაზილიელთა ცენტრალური თავდამსხმელის ვავას (იგი მიწაზეა) ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ბურთი გაეხვია მოწინააღმდეგის კარის ბადეში. ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

## ესპანელები ინიღბებიან

ამ დღეებში უცხოეთის სპორტულ პრესას მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ესპანეთის ცნობილმა ფეხბურთელმა დი სტეფანომ მიიღო ფეხის მძიმე ტრავმა და ექიმების დასკვნით ველარ დაუბრუნდება სათამაშო მინდორს. ასეთივე ცნობა გამოაქვეყნა „კომსომოლსკაია პრავდის" სპეციალურმა კორესპონდენტმა ნ. კისილევმა ჩილიდან.

მაგრამ ეს ცნობა სწორი არ გამოდგა. მართალია, დი სტეფანომ ტრავმა მიიღო, მაგრამ უმნიშვნელო ხასიათისა და ახლა უკვე ვარჯიშობს. 31 მაისს იგი ითამაშებს ჩეხოსლოვაკიის გუნდის წინააღმდეგ. უცხოეთის გაზეთებში წერენ, რომ ეს იყო ესპანელი მწვრთნელის ე. ერერას მორიგი მანევრი, რომელსაც უყვარს ამგვარი „ფსიქოლოგიური სეანსების" ჩატარება საპასუხისმგებლო შეხვედრების წინ.

## ტრანსლაციის შესახებ

ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელიან 30 მაისს — ჩილში ფინალური მატჩების დაწყების დღეს. რედაქციაში მრავლად შემოდის წერილები ერთიდაიგივე შეკითხვით: როგორ იწარმოებს მატჩების ტრანსლაცია ჩილიდან?

როგორც უკანასკნელ ხანებში გახდა ცნობილი, ტრანსლაციის საკითხი გართულებულია ტექნიკური მიზეზების გამო, ვინაიდან სმენადობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენი რადიოკომენტატორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ოზეროვი გაემგზავრა ჩილში. ტრანსლაციის დრო გამოცხადდება ცალკე.

# ჩილის კალეიდოსკოპი

△ ცნობილია, რომ ეროვნულ ნაკრებ გუნდში მონაწილეობის თავისებური მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის განთქმულ ინგლისელ ფეხბურთელს ბილ რაიტს — 105. ამ რეკორდის მოხსნის შესაძლებლობა ჰქონდა უნგრული ფეხბურთის ვეტერანს ი. ბოჟიკს, რომელმაც ამას წინათ გადაიხადა ნაკრებში მონაწილეობის იუბილე — 100 მატჩი. მაგრამ ბ. რაიტის რეკორდი ჯერჯერობით ხელუხლებელი დარჩება, ვინაიდან ი. ბოჟიკი გამოყვანილია ნაკრებიდან.

△ სულ ახლახან მთელს სპორტულ მსოფლიოს მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ დაშალა თავისი ნაკრები და შესაძლოა არ მიიღოს მონაწილეობა ჩილის ტურნირში. მაგრამ ეს ცნობა არ გამოდგა სწორი. ურუგვაიში მხოლოდ შეცვალეს მწვრთნელი და განაახლეს ნაკრები. მაგრამ ეს განახლებაც ნაწილობრივ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან 26 კანდიდატს შორის 18 ის ფეხბურთელია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამასწინანდელ „სამარცხვინო მგზავრობაში" ევროპის კონტინენტზე. მიუხედავად ამისა, ურუგვაიში მიაჩნიათ, რომ მათი ნაკრები თამაშს „იწყებს ნოლიდან".

△ ურუგვაიში შეშფოთებული არიან იმით, რომ კენჭისყრის ძალით ნაკრები იძულებულია კოლუმბიასთან შეხვედრაში გამოიცვალოს თავისი ტრადიციული ცისფერი ფორმა. ეს აქ მეტად ცუდ ნიშნად მიაჩნიათ.

△ ჩილის ნაკრების მწვრთნელმა ფერანდო რიერამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომავალ ტურნირში საგანგებო მნიშვნელობა ექნება მსაჯობას. თუ მსაჯები მკაცრად არ დაიცავენ წესებს და გადაჭრით არ იბრძოლებენ უხეშობის წინააღმდეგ, — თქვა მან, — მათი ლიბერალობა ჩილის ფინალს აქცევს ანტიფეხბურთის სახალხო დემონსტრაციად.

△ მსოფლიოს VII ჩემპიონატის ფინალის მასპინძლები — ჩილელები ითამაშებენ მკლავებზე სამგლოვიარო ნახვევებით. ამით ისინი პატივს სცემენ გათამაშების ორგკომიტეტის თავმჯდომარის, ჩილის საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტის, აწ განსვენებული კარლოს დიტბორნის ხსოვნას.

△ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა ჯერ კიდევ ჩილში გამგზავრებამდე გამოთქვა შიში, რომ გუნდის ძირითადმა წევრებმა შეიძლება ტრავმა მიიღონ. „ბებერ მელას" წინათგრძნობა აუხდა: პირველივე წვრთნაზე ჩილში სერიოზული დაზიანება მიიღეს კოზლოვსკიმ და შიმანიაკმა.

△ არგენტინაში ფეხბურთელები თამაშობენ ბურთებით, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. აქაური ბურთების დიამეტრი მინიმალურია, ხოლო წონა — მაქსიმალური (რა თქმა უნდა, წესების ფარგლებში). ამიტომ ნაკრების მწვრთნელმა ხ. ლორენტომ ადრევე შეიძინა ფირმა „კრეკის" ბურთები, რომლითაც ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ჩილის ქალაქებში. მისივე მოთხოვნით არგენტინის სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში დამატებით შეიყვანეს სტომატოლოგი, ტრავმატოლოგი, ნევროპათოლოგი და მზარეული, რომელმაც პროდუქტები უნდა წაიღოს ქ. რანკაგუაში.

△ იტალიური კლუბის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ელენიო ერერა, როგორც ცნობილია, მიწვეულ იქნა ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელად. როგორც კი გაფორმდა მისი კონტრაქტი ესპანელებთან, ე. ერერა მალულად დაესწრო იტალიის ნაკრების წვრთნას. შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს იგი ამ დროს სტადიონზე, ერერამ უპასუხა: „მე ახლა ესპანელთა მწვრთნელი ვარ და აქ ვიმყოფები როგორც ჯაშუში".

△ მსოფლიო ჩემპიონის — ბრაზილიის საერთო შემადგენლობაში მხოლოდ 3 ფეხბურთელი არ მოხვდა ე. წ. შვედური შემადგენლობიდან. ესენია დიდა, ჟოელი და ორეკო.

## ვინ იმსაჯებს?

ჩილში ფინალური მატჩების სამსაჯოდ ფიფა-მ დანიშნა 31 მსაჯი, რომელთა შორის სსრ კავშირიდან არის ნ. ლატიშევი.

ჩვენი გუნდის მატჩებს მოემსახურებიან შემდეგი მსაჯები:

31 მაისი: სსრ კავშირი-იუგოსლავია — დუში (გფრ).

3 ივნისი: კოლუმბია-სსრ კავშირი — ფილო (ბრაზილია).

5 ივნისი: ურუგვაი-სსრ კავშირი — იონი (იტალია).

## სეზონისათვის ემზადებიან

ზუგდიდის ტურისტულ ბაზაში გაცხოველებით დაიწყო მზადება ახალი ტურისტული სეზონის შესახვედრად. წესრიგშია ბაზის ტერიტორია, დაირგა მარადმწვანე ბუჩქები, წარმატებით მიმდინარეობს ტურისტთა საცხოვრებელი ბინების კაპიტალური რემონტი. 25 ივნისიდან აქ გაიხსნება ტურისტული სეზონი. ტურისტთა პირველი ჯგუფი გაეცნობა და დაათვალიერებს სილამაზით განთქმულ ენგურის ხეობასა და სვანეთის ღირსშესანიშნაობებს.

წლევანდელ სეზონში ზუგდიდის ტურისტული ბაზა მოემსახურება საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ჩამოსულ 6 000-მდე ტურისტს.

ბ. ალშიბაია

# ასე განაწილდა ჯილდოები

ქალთა III საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გულშემატკივართა დიდი ნაწილის ინტერესს ძირითადში ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობის გამო იწვევდა. რა დასამალია, ყველას უნდოდა „საკუთარი თვალით“ დაენახა, თვითონ დარწმუნებულიყო თუ როგორ ემზადება იგი მსოფლიო პირველობისათვის. ნ. გაფრინდაშვილმა არ გააწბილა კეთილისმოსურნენი. მან დაიკავა პირველი ადგილი ისე, რომ არც ერთი პარტია არ წაუგია — 13 შეხვედრაში 11 ქულა მოაგროვა.

ნ. გაფრინდაშვილს სპორტულ პაექრობას უწევდა მოსკოველი ა. კუშნირი, რომელმაც მხოლოდ ერთი პარტია წააგო, ისიც გაფრინდაშვილთან, 10,5 ქულით კუშნირი მეორე ადგილზე გამოვიდა შემოქმედებითი თვალსაზრისით ნ. გაფრინდაშვილის თამაში მრავალფეროვანი იყო. იგი ზოგჯერ ექსპერიმენტებს მიმართავდა, იყენებდა ნაკლებად შესწავლილ გაგრძელებებს, ზოგჯერ კიდევ შეგნებულად იუარესებდა პოზიციას, რათა გაეწვრთნა თავი „მძიმე“ თამაშში. მისმა მოხდენილმა პარტიამ ვ. შამეიტატთან დაიმსახურა სპეციალური პრიზი სილამაზისათვის. სხვა პარტიებიც ე. პოლიქრონიადესთან, ა. კუშნირთან, ე. კაკაბაძესთან მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

პრეტენდენტი, როგორც ჩანს, ბევრს მუშაობს თამაშის სრულყოფაზე თავის მწვრთნელ მ. შიშოვთან ერთად. ამის შესახებ მისი ახალი გამარჯვება დამაჯერებლად მეტყველებს.

საერთაშორისო ტურნირი დიდი ყურადღებით სარგებლობდა თბილისში და განსაკუთრებით სოხუმში, სადაც ჩატარდა მისი მეორე ნახევარი. უცხოელი მონაწილენი კმაყოფილნი დარჩნენ ტურნირის ორგანიზაციით, მაყურებელთა ობიექტურობით. მაგრამ უკმაყოფილონი გაემგზავრნენ თავიანთი შედეგების გამო. მართლაც, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის ჩემპიონები (სატურნირო ცხრილის „მეორე“ ნახევარში) აღმოჩნდნენ. მხოლოდ რუმინელმა ოსტატებმა ა. ნიკოლაუმ და ე. პოლიქრონიადემ ისახელეს თავი.

არაფერი გვაქვს სასაყვედურო საქართველოს სხვა წარმომადგენლების მიმართ. მ. ტოგონიძის მეოთხე ადგილი დამაკმაყოფილებელი შედეგია, თუმცა მეტს ველოდით. ე. კაკაბაძის ცუდი სტარტი (სამი წაგება ზედიზედ) არაფერს გვპირდებოდა. მაგრამ შემდეგ ისეთი ენერგიით ითამაშა, რომ პრიზიორებში გავიდა (მეხუთე-მეშვიდე ადგილები გაიყო). ა. ჩაიკოვსკაია მერვე იყო.

აფხაზეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სპეციალური ჯილდოები დააწესეს ტურნირის მონაწილეებისათვის. ყველაზე მეტი მოგებისათვის ჯილდო გაინაწილეს ნ. გაფრინდაშვილმა და ა. კუშნირმა (9 თვითეულს), მათვე ერგოთ ჯილდო უცხოელ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის (7 ქულა 8-დან). სოხუმში ყველაზე უკეთესი შედეგისათვის ჯილდო მიიღო ა. კუშნირმა (6 ქულა 7-დან). ორი ჯილდო დაიმსახურა ა. ნიკოლაუმ. ერთი მიიღო საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის (4 ქულა 6-დან), მეორე კი უცხოელ მოჭადრაკეთა შორის უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

ტურნირმა წარუშლელი მოგონება დაუტოვა მის მონაწილეებს, რის შესახებ ისინი სიამოვნებით ეუბნებოდნენ ერთმანეთსა და მასპინძლებს.

თ. გიორგაძე

## შევქმნათ ხელბურთის სექციები

ხელბურთმა საქართველოში უკვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა და ახლა სპორტის ამ სახეობას მრავალი ახალგაზრდა ეუფლება.

მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხეს ხელბურთელთა სექციების ჩამოყალიბება ქუთაისში, სადაც ამ სახეობის მოყვარულები საკმაოდ მოიპოვებიან. მართალია, ქალაქის პედინსტიტუტს ჰყავს გუნდი და გაღის წვრთნას, მაგრამ მასში მხოლოდ სტუდენტები ვარჯიშობენ და ქალაქის დანარჩენი ახალგაზრდობა კი ამის საშუალებას მოკლებულია.

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ქუთაისის საბჭომ ამ გარემოებაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს და იზრუნოს ხელბურთელთა სექციების შექმნაზე.

ჯ. ადეიშვილი.



### „დინამო“ (ბათუმი)-„შახტიორი“ (ყარაგანდა) — 1:1

განვლილი მატჩი ყარაგანდის „შახტიორთან“ ბათუმელმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს დიდი უპირატესობით. გუნდი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში მოწინაალმდეგის ნახევარზე იმყოფებოდა, მაგრამ ვერ გამოიყენა თავისი ეს უპირატესობა და დასჯერდა მხოლოდ ერთ ქულას. ამის მთავარ მიზეზად უნდა დავასახელოთ ის ნაკლი, რომლის გამოც ბათუმის „დინამოს“ მრავალჯერ განუცდია დანაკლისი სატურნირო ცხრილში: თავდამსხმელები ვერ იყენებენ შექმნილ მდგომარეობას და უნაყოფოდ კარგავენ ხელსაყრელ მომენტებს.

ასე იყო განვლილ მატჩშიც. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დინამოელებმა მოწინააღმდეგის კართან მოაწოდეს 17 კუთხური დარტყმა მაშინ, როცა „შახტიორს“ ამის შესაძლებლობა მიეცა სულ 3-ჯერ. მატჩის დაწყებიდან თითქმის 30 წუთის განმავლობაში მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ ყარაგანდელებს, რომლებიც იძულებული იყვნენ გაძლიერებული ძალებით დაეცვათ თავი. მათი თავდამსხმელები იშვიათად უახლოვდებოდნენ მოპირდაპირე კარს და სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა დაამთავრეს გოლით. მარცხენა შუამარბმა ჩუვაკოვმა მიიღო ბურთი, გავიდა წინ და 18 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში. მეკარე კვაჭაძეს რეაგირება არ მოუხდენია ამ ბურთზე — 1:0.

ასეთივე სურათი გამეორდა მეორე ტაიმშიც. „დინამოს“ თავდამსხმელები ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში, ან მეკარე შერშევსკი იღებდა ბურთებს.

23-ე წუთზე ბათუმელთა მცველმა ჩხაიძემ კარგად ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, მას მიუსწრო ყურშუბაძემ და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:1. დარჩენილ დროში „შახტიორის“ კარი არაერთხელ იყო საშიშროების წინაშე, მაგრამ ანგარიში 1:1 უცვლელი დარჩა მატჩის ბოლომდე.

ვ. მოსეშვილი

• • •

**სურათზე:** მომენტი ბათუმის დინამოელთა მატჩიდან ყარაგანდის „შახტიორთან“. საპასუხო ბურთი სტუმართა კარში.

ფოტო ა. ტულუშისა

✦

### „კოლხიდა“ (ფოთი)-„ალგა“ (ფრუნზე) — 2:0.

მაყურებელთა მაქსიმუმი — 10 ათასი კაცი, დაესწრო ფოთის ახალ სტადიონზე ადგილობრივი „კოლხიდის“ მატჩს საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში ფრუნზეს „ალგასთან“, ეს იყო ფოთელ ფეხბურთელთა პირველი მატჩი თავიანთ სტადიონზე შუა აზიის რესპუბლიკებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ.

მასპინძლებმა სწრაფი, ენერგიული იერიშით დაიწყეს თამაში. უკვე მე-6 წუთზე ფრუნზელთა კარი აშკარა საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ ვერბიცკის მიერ დარტყმული ბურთი აცდა კარს. მცირე ხნის შემდეგ ბასილაშვილმა, ლაზარევმა და გვაზავამ გაითამაშეს კომბინაცია, მაგრამ „ალგის“ მცველებმა და მეკარემ ბოლო წამს შეძლეს კარის უვნებელყოფა. სტუმრებმა შემდგომში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, ხოლო ტაიმის დასასრულს სახიფათო მომენტები უკვე ფოთელთა კართან იქმნებოდა, მაგრამ პირველი 45 წუთი დამთავრდა ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

პირველ წარმატებას „კოლხიდამ“ მიაღწია 75-ე წუთზე. კომბინაცია დაიწყო ვერბიცკიმ, რომლისგან გადაცემა მიიღო გვაზავამ. ამ უკანასკნელმა ბურთი გადასცა ლაზარევს და სტუმართა კარში გატანილ იქნა გოლი — 1:0. 5 წუთის შემდეგ კოლხიდელებმა გაიმეორეს იერიში და გაიტანეს მეორე ბურთი, რომლის ავტორი იყო გვაზავა. ამ ანგარიშით — 2:0 ფოთის „კოლხიდამ“ მოიპოვა პირველი გამარჯვება. გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ბურჭულაძე, ბასილაშვილი, ჩუბინიძე, ცაგარეიშვილი, ბასილაია, ქსოვრელი, გვაზავა, ვერბიცკი, მკრტჩიანი, ლაზარევი, ალმასია.

ამ მატჩში დანიშნული იყო პრიზები ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეებისათვის. ფოთელთაგან იგი ერგო გვაზავას, ხოლო ფრუნზელთაგან — ი. სტრელცოვს.

ა. ლომაია.

• • •

განვლილ კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონების გუნდებს შორის.

თბილისის „ლოკომოტივი“ თამაშობდა გომელში ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდის წინააღმდეგ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

ვიტებსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრ. ზნამია“ და სოხუმის „დინამო“.

მატჩის შედეგია 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

რუსთავის „მეტალურგს“ თავისი მორიგი შეხვედრა ჰქონდა კიროვაბადის დინამოელთა წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## ხელოვნურ ტრასაზე

ტრამპლინები ხელოვნური საფარით წლიდან წლამდე ფართო გავრცელებას პოულობს მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მხრივ თავისებური რეკორდი ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც 25 ასეთი ტრამპლინია. ტრამპლინები ხელოვნური საფარით არის აგრეთვე პოლონეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, გფრ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, საბჭოთა კავშირში. ამ ნაგებობათა წარმატებითმა გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი მსგავსი რამ მოეწყოთ სამთო მოთხილამურეებისათვისაც.

1960 წლის სექტემბერში კორტინა დამპეცოში მოეწყო კიდეც სლალომისტთა შეჯიბრება ხელოვნურ საფარიან ტრასაზე, რომელმაც სპორტსმენებსა და მაყურებელთა შორის საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

# შემთხვევა სტადიონზე

საინტერესო ამბავი შეემთხვა ფეხბურთის დიდ მოტრფიალეს, პორტუგალიელ მანუელ გუერა პაულოს, რომლის ისტორია ამას წინათ აღწერა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“.

მანუელ გუერა პაულო „ბენფიკას“ გულშემატკივარია. და როცა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში „ბენფიკა“ უნდა შეხვედროდა „რეალს“, პაულო ამსტერდამში ჩავიდა, სადაც ეს შეხვედრა გაიმართა.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე რესტორანში პაულოს თევზის ძვალი გადასცდა ყელში. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ. საჭირო იყო ოპერაცია. ფანატიკურმა გულშემატკივარმა ძლივს დაითანხმა ექიმები, რომ ოპერაცია მატჩის შემდეგ ჩატარებულიყო. და აი, ტკივილებისაგან შეწუხებული პაულო იჯდა ტრიბუნაზე. მის ტკივილს ახალი სიმწარე დაემატა: მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ „ბენფიკა“ აგებდა —0:2. შემდეგ პორტუგალიელებმა გამოასწორეს თამაში და წინ გავიდნენ — 4:3. პაულოს დაავიწყდა ტკივილი და როცა „ბენფიკას“ თავდამსხმელმა გაიტანა მეხუთე გოლი, პაულო სკამიდან წამოვარდა და მთელი ძალით უნდოდა ეღრიალა. და სწორედ აქ მოხდა სასწაული. ღრიალის ნაცვლად პაულოს ყელიდან გამოუვარდა ძვალი. ასე, რომ სტადიონიდან გულშემატკივარი ორმაგი სიხარულით დაბრუნდა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01030